



№ 110 (9201)
7 ივნისი
შაბათი.
1986 წ.

საპარტიკო სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო
ЛЕЛО

გამოცემის 1934 წლის 13 აპრილიდან • შანი 8 კპპ.

ნიუსპლის კურსით

სსრ კავშირის ხალხთა სპორტკომისიის მიერ დაარსებული გუნდების მზადების ციკლში ასპარეზობამდე დაარჩენილი ბოლო 6 თვე, ჩვეულებრივ, ინტენსიური მზადების პერიოდია. ამ დროს იგეგმება სპორტროლო თუ ამხანაგური შეჯიბრებები, მწვრთნელები გულდასმით აკვირდებიან თითოეული სპორტსმენის შესაძლებლობებს. ცხადია, ეს პერიოდი ყველაზე საპასუხისმგებელია ხელმძღვანელი სპორტული მუშაკებისთვის და არა მარტო მათთვის, ყველასთვის, ვინც დაინტერესებულია სპორტკომისიის რეპუტაციის სპორტული დელეგაციის გამოსვლის შედეგებით.

საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტში თებერვლიდან მოყოლებული მაისის ბოლომდე კოლექციის ხსენებზე სიტყვატურად იხილავდნენ სპორტკომისიის სპორტის ცალკეულ სახეობებში რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადების საკითხებს. ინფორმაციით გამოდიოდნენ უფროსი მწვრთნელები, სპორტსაკომისიის შესაბამისი სამმართველოებისა და განყოფილებების ხელმძღვანელები, მთავარი მწვრთნელები, სპორტული საზოგადოებებისა და უწყებების ხელმძღვანელები — სპორტის ამა თუ იმ სახეობათა კურატორები, ექიმები, მედიკოსები მუშაკები, კომორგები. კოლექციის ხსენებზე ნაკრები გუნდების მზადების შემოწმების შედეგების თაობაზე თავიანთი დასკვნებითა და შეფასებებით გამოდიოდნენ მთავარი სპორტული სამმ-

ართველოსა და სპორტსაკომისიის თავმჯდომარის საგანგებო ინსპექციის ხელმძღვანელი მუშაკები.

ამ დღეებში კომიტეტის კოლექციამ შეაჯამა „სსრ კავშირის ხალხთა IX სპორტკომისიის მზადების მიმდინარეობის შესახებ“ რესპუბლიკის ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელების ინფორმაციის შედეგები და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

ცნობისათვის: კოლექციის სხდომამ წულულს თებერვალ-მაისში სპორტის 36 სახეობაში რესპუბლიკური ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელების ინფორმაცია მოისმინა და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

კოლექციის შეფასებებიდან: სპორტის 13 სახეობაში სსრ კავშირის ხალხთა IX სპორტკომისიის ფინალური ასპარეზობისათვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მზადება მთლიანობაში დამაკმაყოფილებელია. ეს სახეობებია: ბატუტზე ხტომა (უფროსი მწვრთნელი თ. ხულოველი), წყალში ხტომა (ი. გუტიაკულოვი), სინქრონული ცურვა (ნ. მაშუკი), აკრობატია (ა. სლივკოვი), სამბო (ა. ზურაბაული), თავისუფალი ჭიდაობა (გ. მესტირიშვილი), კრივი (დ. დლიანი), თანამედროვე ხუთბილი (ა. შეროზია), მხატვრული ტანვარჯიში (ნ. სალაძე), ხელბურთი — ვალები (ა. ბერიანიშვილი), ძიუდო (დ. ხაბულიანი). კოლექციის ხსენებზე გამოვლი-

ლვით მსჯელობდნენ სპორტის თითოეულ სახეობაში ჩამორჩენის მიზეზებზე. ეს მიზეზები პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს. პირველი — ეს არის სპორტის ამა თუ იმ სახეობაში ტრადიციული ჩამორჩენა და მუშაობის უხისტილობა, მეორე — შესაბამისი სპორტული ბაზისა და ინვენტარის უქონლობა, მესამე — მწვრთნელთა და ნაკრების მზადებისთვის პასუხისმგებელ პირთა უპასუხისმგებლობა, მათი უდამლაპო მუშაობა.

კოლექციის შეფასებიდან: სპორტის 17 სახეობაში ნაკრები გუნდები, მართალია შემუშავებული გეგმის შესაბამისად ემზადებიან, მაგრამ მწვრთნელების, სპორტსაკომისიის სამმართველოებისა და განყოფილებების, უმაღლესი სპორტული ოსტატობის სკოლების პასუხისმგებელ მუშაკთა უინციანობა, ნაკლებფეხტური მუშაობის, სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სხვა ფაქტორების გამო ამ გუნდების დღევანდელი მდგომარეობა არა-დამაკმაყოფილებელია და სამართლიან შემოფთებებს იწვევს. ლაპარაკია ისეთ სასპორტკომისიო სახეობებზე, როგორცაა: ტყვიის სროლა (უფროსი მწვრთნელი გ. ბოსტოლიანიშვილი), სასტენდო სროლა (ზ. მაჩხანელი), მშვიდოსნობა (ი. გრებენიკოვი), ცურვა (ი. ბარსკა), ძალოსნობა (შ. წერეთელი), ტანვარჯიში (ქალები, რ. სინარულიძე),

№ 33-3 83

დღეს იწყება და 14 ივნისს დაამთავრდება პელოსპორტის კვირეული



ქვირვასო თაილისალო: სპორტკომისიის „დინამო“ გაცნობებით, რომ ველოსპორტის კვირეულთან დაკავშირებით თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრ-

ლურ სტადიონზე 8 ივნისს 10 საათიდან მოეწყობა მასობრივი გელოვარბენები. გამარჯვებულნი დაჯილდოვდებიან პრიზებით. გიწვევთ ამ ხაინტერესო ღონის-

ძიებაში მონაწილეობის მისაღებად. დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ სპორტკომისიის დირექციას ა. წერეთლის გამზ. 2. ტელ. 95-03-76.

ისპ ოთარ მკვლევარი

ბულა. ადგილობრივ ტრეკზე დამთავრდა გელოსპორტის კალთა-საკავშირო ჩემპიონატი. ჯგუფურ რბოლაში ოქროს მედალს დაიმსახურა. ვალისა ენიუხინამ მოიპოვა.

ჩემპიონატის პარალელურად ჩატარდა ვაჟთა საჯავშრო შეჯიბრება, რომელშიც ქვეყნის ყველა უძლიერესი ველოსიპედისტი გამოდიოდა. კვლავ გამოიჩინა თავი ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა, თბილისელმა ოთარ მკვლევარმა. 200 მეტრზე გიტში (სვლოთ) მან 10,675 აჩვენა და პირველი ადგილი დაიკავა. მეორე შედეგი შეიარაღებულ ძალთა გუნდის წევრს ა. პანფილოვს ჰქონდა — 10,838. მესამე ადგილზე ოლიმპიური მომზადების ცენტრის — „სპრინტის“ წარმომადგენელი ნ. კოვში გავიდა — 10,843.

არანაკლებ საინტერესო ბრძოლით იტინა გამოვარდნით გუნდური რბოლა სამ წრეზე. აქ ყველას პროფკავშირების ნებაცდლობით სპორტსაზოგადოებათა გუნდმა აჯობა, რომლის შემადგენლობაში ოთარ მკვლევარის გარდა ს. კობილოვი და რ. პრუკლოვი გამოდიოდნენ. გამარჯვებულთა დროა — 1.03,488. მეორე ადგილზე შეიარაღებულ ძალთა მესამეზე — „სპრინტის“ ველოსიპედისტები გავიდნენ.

ოფიციალური ცნობები

დღის ნაწიგშია სპარტაკილა

საპარტიკო სსრ ფიზკულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტში გაიმართა რესპუბლიკის IX სპორტკომისიის შტაბის სხდომა. სხდომაზე განიხილეს ინფორმაციები „საქართველოს IX სპორტკომისიის მიმდინარეობის“, „სპორტკომისიის პროგრამით მძლეოსნობაში შეჯიბრების ჩატარების ადგილის“, „ნაკრები გუნდების ექიპირების“ და „IX საკავშირო სპორტკომისიისათვის საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის შტაბის ღონისძიებათა შესახებ“.

შტაბის სხდომამ დაამტკიცა IX საკავშირო სპორტკომისიისათვის სპორტული დელეგაციების ხელმძღვანელები. სხდომის შედეგები შეაჯამა სპორტსაკომისიის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ვ. შუბლაძემ.

ფარიაკოვის ფაქარასიის კლანში

გაიმართა ფარიაკოვის რესპუბლიკური ფედერაციის პლენუმი, რომელზეც განიხილეს ორგანიზაციული საკითხი. ფარიაკოვის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარედ პლენუმმა აირჩია წარსულში ცნობილი მოფარიაკევი, გახეთ „თბილისის“ რედაქტორი არჩილ გოგელია.

ინიციატივას უხეპუკებთან

14 ივნისს, როგორც „ლელოს“ მკითხველებმა უკვე იცნან, ჩვენნი რედაქცია გამოდის კიდევ ერთი მასობრივი ტურისტული ლაშქრობის ორგანიზატორის როლში. ამჯერად გადავწყვიტეთ დღეგრძელობის ბილიკებზე მოვიწვიოთ თბილისელი ექიმები, რის შესახებაც ადრე გამოვაცხვენეთ საგანგებო წერილი. ამ დღეებში რედაქციაში მოდის წერილები რესპუბლიკის ცალკეული რეგიონებიდან და კოლექტივებიდან — თაოსნობას ძწონებენ და მედიცინის მუშაკები სხვაგანაც გამოდიან ტურისტულ ბილიკებზე.

დღეს-გაგაცნობთ რამდენიმე გამომხატვრებს:

- პუთაისი.** ქუთაისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ და საექიმო ფიზკულტურის დისპანსერმა განიხილეს ვაზეთ „ლელოს“ 29 მაისის ნომერში გამოქვეყნებული წერილი: „ტურისტულ ბილიკებზე გამოვწვივით მხარი დაეჭირით რედაქციისა და თბილისელ ექიმთა თაოსნობას.“
- ქუთათური ექიმები „ჯანმრთელობის ესტაფეტის“ პროგრამით ჩაატარებენ ტურისტულ ლაშქრობას შაბათს, 7 ივნისს, შემდეგი მარშრუტით: ქალაქის ცენტრალური მოედანი — ბაგრატიის ტაძარი — თერთა მიწა — მდინარე ოლასკურას ხეობა — გამარჯვების მოედანი.
- მ. ლოგაშანიძე,** ქუთაისის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგის მოადგილე.
- მ. გამშრალიძე,** საექიმო ფიზკულტურის დისპანსერის მთავარი ექიმი.
- რუსთავი.** რუსთავის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილებამ განიხილა „ლელოს“ 14 მაისის ნომერში გამოქვეყნებული მოწინავე წერილი „ჯანმრთელობის ესტაფეტა“ და გადაწყვიტა მხარი დაეჭიროს რედაქციის თაოსნობას. ჩვენ შუად ვართ მივიღოთ მონაწილეობა ქალაქში შემუშავებული მარშრუტით ტურისტულ ლაშქრობაში. ამ ღონისძიებაში მთელი სამედიცინო კოლექტივი ჩაებმება.
- ზ. ნადირაშვილი,** რუსთავის ჯანმრთელობის განყოფილების გამგე.
- საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს „საქმედრემპროექტის“ თანამშრომლები მხრედად მიესალმებიან თქვენი რედაქციის თაოსნობას 14 ივნისს ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებისათვის ტურისტული ლაშქრობის მოწყობისათვის დაკავშირებით და აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ამ ღონისძიებაში.
- ბ. ჩაბანაძე,** „საქმედრემპროექტის“ პროფკომიტეტის დამმჯდომარე.

ინფორმაცია

„ტორპედო“ (მოსკოვი) 12:9, „დინამო“ (კიევი) — „ტორპედო“ — 6:6. „დინამო“ (ალმა-ათა) — „უნივერსიტეტი“ 9:8. აღმათელმა წყალბურთელებმა 5 ქულა დააგროვეს, კიევის დინამოელებმა — 4. ფინალში ერთმანეთს კიევისა და ალმა-ათის კოლექტივები შეხვდებიან.

XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში

4. VI. ტოლუკა. პარაგვაი — ერაჟი 1:0
4. VI. ნეცაუალკოიოტლი. უოტლანდია — დანია 0:1
5. VI. კუვალა. იტალია — არგენტინა 1:1
5. VI. მხიკო. ბულგარეთი — ს. კორეა 1:1
5. VI. ლეონი. საფრანგეთი — სსრ კავშირი 1:1

დღეს თაგაგოგან:

მექსიკა-პარაგვაი ჩრ.ირლანდია-მსპანეთი პოლონეთი-პორტუგალია

როცა საკუთარ ნაკლს ხედავ

ერთი თვის წინათ, როცა საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების უფროს მწვრთნელს ირაკლი ჩხიკვაძეს გუნდის სასპორტაკადო სამხალისზე ჩამოვუვადეთ სიტყვა, გვითხრა: ბიჭების ფიზიკური მომზადებით უკმაყოფილო ვარო. გუნდის წევრები პირველად გაზაფხულის დამდეგს, მაკურთანში შეიკრიბნენ და იქ ვარჯიშობდნენ საერთო ფიზიკური მომზადებაში. სამწუხაროდ, მანამდე ნაკრების კანდიდატთა შეკრება ვერ მოხერხდა, რადგან ზოგიერთი თბილისის „დინამოს“ ისტატ წყალბურთელთა გუნდის წევრია, ჩვენ საუკეთესო კოლეგებს კი იმ პერიოდში საკავშირო ჩემპიონატის მატჩები ჰქონდა ჩასატარებელი, ზოგი — თბილისის არმიელთა გუნდის წევრი გახლავთ, (ამ გუნდისადმი დიდი საზრუნავი ჰქონდა — I ლიგის საგზურისთვის იბრძოდნენ).

ერთი სიტყვით, სასპორტაკადო ნაკრების წყალბურთელები გულხელდაკრეფილი არ მსხდარან —



გუნდის უფროსი მწვრთნელი ირაკლი ჩხიკვაძე ვარჯიშის დაწყებამდე დავალებას აძლევს თავის აღზარდლებს.

ისინი თავთავიანთ გუნდებში ვარჯიშობდნენ და შეიკრიბებოდნენ მონაწილეობდნენ. მაგრამ საქართველოს ნაკრების კანდიდატთა საერთო ფიზიკური მომზადება გუნდის უფროს მწვრთნელს მინც არ აქმეყოფილებდა.

ამ ასაკის წყალბურთელები გაცილებით ინტენსიურად უნდა ვარჯიშობდნენ, ჩვენი სპორტსმენები კი სათანადო დატვირთვის ვერ უძლებენ, — გვითხრა ჩხიკვაძემ. — ნაკრებში მოყოლებული სპორტსმენები მოდიან. ჩემი აზრით, ბირველ ყოვლისა, სრულფასოვანი რეზერვის აღზრდაზე უნდა ვზრუნავდეთ.

უფროსი მწვრთნელის მოსაზრებები

ბის სისწორეში მაშინ დავრწმუნდით, როცა ლენინური კომპლექსის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში საქართველოს ნაკრების წევრთა ვარჯიშს დავესწარი. ისინი გუნდის მწვრთნელის ბორის მუგელის ხელმძღვანელობით მაშინ ცურვაში ვარჯიშობდნენ. რამდენიმე მოთამაშე დროდადრო შესვენებისა და სულის მოთქმისთვის ითხოვდა დროს.

მწვრთნელმა გვითხრა, რომ ნაკრების წევრთა პირველი შეკრების შემდეგ წყალბურთელთა საერთო ფიზიკური მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა, მაგრამ სათანადო კონდიციამდე ვერ კიდევ არ ასულა.

ჩვენი გუნდისთვის დიდად სასარგებლო გამოდგა მისის პირველი რიცხვებში ბათუმში გამართული საკავშირო ტურნირი, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა უმაღლესი ლიგის ბინადარს: მოსკოვის, ალმათისა და კიევის „დინამოს“, ლენინგრადის „ბალტიკას“, მოსკოვის „უნივერსიტეტს“ უმასპინძლა. შემდეგ ისინი თბილისში მყოფ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებსაც შეხვდნენ. მართალია, მასპინძლები ყველა შეხვედრაში დამარცხდნენ, მაგრამ უძლიერეს გუნდებთან თამაშისას თავიანთი ნაკლი უკეთ დაინახეს.

ამ თამაშებმა გვიჩვენა, რომ საქართველოს ნაკრებს დიდი შრომა მართებს ტექნიკისა და ტაქტიკის დასახვეწად.

მიუხედავად ამ ნაკლისა, გუნდს ფრიალ სერიოზული გეგმები აქვს — საკავშირო სპორტაკადის ბრინჯაოს მედალისთვის ავირებს ბრძოლას. მიზნის მიღწევა ალბათ გაუჭირდება, რადგან პირველსავე ეტაპზე, ქვეყნულში, მეტად სერიოზულ მეტოქეებს — უკრაინისა და უზბეკეთის გუნდებს უნდა შეხვდეს. სპეციალისტებს ერთი და მეორეც ფავორიტებად მიიჩნეა.

როგორც ჩანს, მომავალი ბრძოლების მთელი სიმძიმის გადატანა ძირითადად მიხეილ გიორგაძეს (გუნდის კაპიტანს), მაკუაერთანს, ბიოთქესა და რამიშვილს მოუწევთ — თბილისის „დინამოს“ ისტატ წყალბურთელთა გუნდის წევრებს. მაკუაერთანმა, ბიოთქემ და რამიშვილმა „დინამოს“ შემადგენლობაში მთავარი გამოცდა გაზაფხულზე, საკავშირო თასის გათამაშების მატჩებში ჩააბარეს, გიორგაძეს კი უკვე ხშირად ანდობენ „დინამოს“ პრესტიჟის დაცვას. იგი ახლახან თბილისში გამართულ ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ყველა მატჩში მონაწილეობდა და უნდა ითქვას, რომ საქმეა დატოვდა. მთაბეჭდილებად დატოვა.

რა თქმა უნდა, ეს ოთხი წყალ-

ბურთელი, რომელსაც უმაღლეს ლიგაში თამაშის მეტნაკლები გამოცდილება აქვს, ჩვენი გუნდისთვის დიდი ძალაა, მაგრამ ასეთი ძალები ხომ სხვა გუნდებსაც ექნებათ.

გუნდის შემადგენლობაში შეიყვანეს ჰაბუტა საკავშირო ნაკრების წევრი, დინამოელი ჩიტაძეც; ნაკრების კანდიდატები არიან ასევე „დინამოს“ წევრები: გობეჯიშვილი,



გუნდის კაპიტანი მიხეილ გიორგაძე.

ქართველიშვილი, კერესელიძე, ჩოლარია, ჯაღუღიშვილი, ასკან წყალბურთელები, ძმები ლევან და გიორგი წულაძეები, კობახიძე, ღვალიძე, ანთაძე, ლიპარტიანი, მაისურაძე, ხუნწარია. რა თქმა უნდა სასპორტაკადო ნაკრებში ყველა მათგანი ვერ მოხვდება, არც ისეა გამორიცხული, ზოგიერთის ადგილზე სულ სხვა წყალბურთელები ვიხილოთ, წყალბურთელის „საივიზო ბარათი“ ხომ სპორტული ფორმაა.

როგორც გუნდის ექიმმა თამაზ კარტოზიამ გვითხრა, არ ვიცით, გუნდში მოხვდება თუ არა ქართველიშვილი. იგი ავად იყო. დანარჩენები თავს კარგად გრძობენ, განწყობილებაც საბრძოლო აქვთ.

სპორტაკადამდე დარჩენილ დროში რამდენიმე შეკრებაში გამოვალთ, — გვითხრა გუნდის მწვრთნელმა სემიონ პირუშოვმა. — მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი იქნება ტურნირი, რომელსაც რუსეთის ფედერაცია იგლისში ატარებს. იქ სპორტაკადის მონაწილე გუნდებს იწვევენ. ავგისტოში საქართველოს ნაკრები უმასპინძლებს ასევე სპორტაკადის მონაწილე მოსკოვის, მოლდავეთის, ტაიკეთის, რუსეთის ფედერაციის და ლენინგრადის გუნდებს. საქართველოს ნაკრების მწვრთნელები და გუნდის წევრები ეცდებიან კიდევ უფრო დახვეწონ სათანადო ტექნიკა, ტაქტიკა.

ავთანდილ გურასაშვილი, ავტორის ფოტოები.

მს ადვილი ქალაქის ხმაურსა და ორმეტრიან მყუდრო კუნძულს წაგავს. აქ თითქმის პერიოდ უფრო ხუფთაა. „კუნძულს“ — თეთრი ბაღეებით დაყოფილ წითელ სწორკუთხედს — ჩოგბურთის კორტებს ზემოდან მწვანე ხეები შემოსაზრდა, ქვემოთ კი, დამცავი ბადის მიღმა, მკვეთრად დამრეცი ფერდობია მიმალული. ფერდობს იქით ქალაქი თითქმის ხაღაც შორს არის...

მასხვილი თვალს უნდა ჰქონოდა იმ ადამიანს, ვისაც აქ ჩოგბურთის კორტების მოწყობის იდეა დაეძალა. ის ახლაც ამ კორტებზე მუშაობს, ბავშვებს ავარჯიშებს, უკვე დიდი ხანია მწვრთნელია — თავისი პირველი გაცვეთილი ნორჩ ჩოგბურთელებს ვერ კიდევ 37 წლის წინ ჩაუტარა. კარგა ხანს უნივერსიტეტშიც ასწავლიდა სტუდენტებს, შემდეგ კი ისევ კორტსა და ბავშვებს დაუბრუნდა. მის გვერდით უკვე მისი ყოფილი მოწაფეები შრომობენ, რომლებიც მასწავლებლის კვალს გაპყვნენ. მათი სახელი კარგადაა ცნობილი ჩოგბურთის მოყვარულთათვის: გივი ახალაძე, ლამარა მგალობლიშვილი, ნათელა კაკულია, მიაა გომაძე...

თეიმურაზ კაკულია, სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის განათლების სამმართველოს ჩოგბურთის სპეციალისტად სპეციალისტები მუშაობენ, ისინი შეუპოვრად იცავენ თავიანთ პოზიციას, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ყველა გუნდის ყურით უსმენს უფროსი მწვრთნელის აზრს და კამათი მუდამ საქმის სასაკეთოდ მთავრდება...

ცხადია, თუ კაცმა სიტყვა საქმით არ დაადასტურა, მის ავტორიტეტს მალე შეუდგება წყალი. უფროსი მწვრთნელი, როგორც თეიმურაზ კაკულიამ თქვა, პრაქტიკულ საკმეშიც სამაგალითია...



აქ მომუშავე ზოგიერთ მწვრთნელს ჩოგბურთის ანბანი თავის დროზე ქობალიმ ასწავლა. იგი ახლაც ყველაფერში სამაგალითია თავისი ახალგაზრდა კოლეგებისათვის.

საკამარისა თუნდაც ერთი დღე დასკოთ კიროვის ბაღში მდებარე ჩოგბურთის კორტებზე, უყურით ვარჯიშს, რომ თვითონვე დარწმუნდებით ამ სიტყვების სიმართლეში...

გამოცდილმა მწვრთნელმა ეს ადვილი ამ რამდენიმე წლის წინ შეიფარა. მაშინ განათლების სამმართველოს საჩოგბურთო სკოლა კიროვის ბაღის ძველ კორტებზე იყო დახანკებული. ის ვიწრო და მოუხერხებელი მოედანი ნორმალური მუშაობის საშუალებას არ აძლევდა მწვრთნელებს და მოწაფეებს. საბედნიერად, მარლენ ქობალიმ თანამოაზრე იკვლია ყველაზე მეტად ძველი ნაცნობი, ცნობილი კინორეჟისორი ლანა ლომოვითიძე დაეხმარა, რომელიც იმ ხანად საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი იყო. აქ განსვენებულმა არქიტექტორმა ლალო ალექსი-მუსხიშვილმა უსასყიდლოდ დააპროექტა საჩოგბურთო სკოლის ახალი შენობა. კორტების მოწყობა კი ტრესტ „სათბურმენმა“ ითავა, თანაც დაზოგილი სიმშენებლო მასალის ხარჯზე.

კორტი სწრაფად შენდებოდა. მარლენ ქობალიმ მთელი დღე ხელმძღვანელობდა მშენებლობას. ეს იშვიათი შემთხვევა იყო, პრაქტიკული საქმე პრექტს უსწრებდა წინ. მშენებლები მწვრთნელის მოსაზრებებს ითვალისწინებდნენ და მერე თითქმის ამ მოსაზრების სისწორის საბუთად, დასტურის იღებდნენ სპორტეტი ორგანიზაციისაგან.

მშენებრივი კორტები აშენდა, მაგრამ ერთი რამ მაინც ხინჯად დარჩათ გულში ქობალიას და სკოლის მთელ პერსონალს. მოედანს მთავალტბურთელ გზა ჩაუღის, რომელიც „დროებით“ გაიყვანეს, რათა იქვე ახლოს მშენებარე ბიბლიოთეკასთან სამშენებლო მასალის მიტანა გაადვილებოდათ. ბიბლიოთეკა ააშენეს, მაგრამ გზა ახლაც ხელუ-

ხლებულია... დანარჩენი კი თავისი წესისა და რიგის მიხედვით მიდის ახალ კორტებზე. ყოველდღიური ვარჯიშის გარდა, ყოველ კვირას ტრენინგები, „პირამიდა“ — საწვრთნელი შეკრებები და მწვრთნელებს მუდამ თვალწინ აქვთ თავიანთი მუშაობის ნაყოფი. ეს მეჯობრება სხვა სიახლეებთან ერთად მარლენ ქობალიამ დანერგა სკოლაში. მოსვლისთანავე იგი უფროს მწვრთნელად აირჩიეს. სხვათა შორის, ყოფილი უფროსი მწვრთნელის გრანტ მუსაელიანის წინადადებით. მუსაელიანმა კარგად იცოდა, საქმეს საიმედოდ კაცს ახარებდა. სკოლის მწვრთნელთა სამუშაოზე, რომელსაც ქობალია ხელმძღვანელობს, ხშირად იმართება კამათი ამა თუ იმ საკითხის ირგვლივ. სკოლაში ახალგაზრდა სპეციალისტები მუშაობენ, ისინი შეუპოვრად იცავენ თავიანთ პოზიციას, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ყველა გუნდის ყურით უსმენს უფროსი მწვრთნელის აზრს და კამათი მუდამ საქმის სასაკეთოდ მთავრდება...

ცხადია, თუ კაცმა სიტყვა საქმით არ დაადასტურა, მის ავტორიტეტს მალე შეუდგება წყალი. უფროსი მწვრთნელი, როგორც თეიმურაზ კაკულიამ თქვა, პრაქტიკულ საკმეშიც სამაგალითია...

მარლენ ქობალიმ იცითივე სერიოზულობითა და მონღომებით ატარებს ყველა გაცვეთილს, როგორც მაშინ, 37 წლის წინათ, როდესაც პირველად გამოიყვანა თავისი მოწაფეები კორტზე.

ეს პედანტიზმი მწვრთნელს მონაწილეობის კორტებზე, არა მდ მისი ხასიათიდან გამომდინარეობს, მისი მომთხოვნელობიდან სკოლისათვის თავისი მოწაფეების მართლმართლობით მოაზრდა ავტორიტეტი ამ ერთი შეხედვით მკაცრმა, მაგრამ სამართლიანმა კაცმა მოწაფეებსა თუ კოლეგებში (იგი რუსულბოლის მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედაც აირჩიეს). სხვათა შორის, მარლენ ქობალიას ავტორიტეტი მოწაფეების შობლებთანაც ასეთივე ურყევაა...

საერთოდ, შეგირდთა მშობლებთან ურთიერთდამოკიდებულება მეტად მრავალფეროვანი საკითხისა ნებისმიერი მწვრთნელისათვის, რა დასაძალია, ზოგიერთი მეტისმეტად „შორსწვლი“ მშობელი შეიკრიბებზეც თან დაჰყვება შვილს, უბოდიშოდ ერევა წევრთისა თუ ასპირანტის ჩატარებაში. მწვრთნელისა და მშობლის მეტისმეტი გაზინაურება, როდესაც „ლიდერის“ როლს მუდამ ეს უკანასკნელი იმართებს, ყოველთვის საქმის საზიანოდ მთავრდება.

მარლენ ქობალია, როგორც სპეციალისტი, როგორც პედაგოგი, იმითაც გამოირჩევა, რომ იმეორე პრინციპულობით აქვს გამოყვანილი ის ზღვარი, სადაც მშობლის ფუნქცია მთავრდება და მწვრთნელისა იწყება. ვერც მისი კოლეგები, ვერც მოწაფეები თუ მათი მშობლები ვერ იტყვიან, რომ მათ ვინმეს ყურადღება მოაკლდა. მისთვის ყველა მოწაფე ერთია.

და მინც, ბევრ მშობელს სურს, რომ მისმა ბავშვმა სწორედ ქობალიასთან ივარჯიშოს. ბოლოს და ბოლოს შვილის მომავალი ხომ ყველა მშობელს ადარდებს? ბიორგი ინტერვიუ.

გუნდური აღბილება

წყალბურთის საბჭოთა კავშირის ხალხთა ყველა სპორტაკადის ბრავრამაში იყო შეტანილი და საქართველოს სპორტსმენებიც, ცხადია, ამ ტურნირების უცვლელი მონაწილე იყვნენ. მეტსაც გეტყვით, შეიქმნა ადგილზე დაბლა რეაპუბლიკის წარმომადგენლები არასდროს ჩამოულან, ეს კი იმას

ნიშნავს, რომ წყალბურთი მუდამ ჩვენი სასპორტაკადო სახეობა იყო. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა წლებში საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებ გუნდს სამჯერ აქვს მოპოვებული ვერცხლის და ორჯერ ბრინჯაოს მედალები.

აი, როგორ გამოიყურება ჩვენი წყალბურთელების შედეგები ყვე-

ლა სპორტაკადიაში:

1956 წ. I სპორტაკადია	— 2 ადგილი
1959 წ. II სპორტაკადია	— 3
1963 წ. III სპორტაკადია	— 2
1967 წ. IV სპორტაკადია	— 3
1971 წ. V სპორტაკადია	— 5
1975 წ. VI სპორტაკადია	— 5
1979 წ. VII სპორტაკადია	— 2
1983 წ. VIII სპორტაკადია	— 5

პუბლიკის დაპყრობა

„გულგრილობა“

ყველგან ერთნაირია“

რედაქციის უპასუხმას რუსთაშინის სახალხო დეპუტატთა საბჭოთა საბჭოს აღმასკომი გაეცნობებთ, რომ ვაჭრთ „ლელოს“ 1986 წლის 24 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში „გულგრილობა“ ყველგან ერთნაირია“ ქრუსთავის ხინაბდელიშვილი შეინიშნულ ნაკლოვანებებთან დაკავშირებით სკკითხი ა. წ. 25-აპრილს განიხილა საქართველოს კომპარტიის რუსთა-

ვის საქალაქო კომიტეტის ბიურომ. ბიურომ პრინციპული შეფასება მისცა № 20 საშუალო სკოლისა და საცხოვრებელი მიკრორაიონების სპორტულ მოედნებზე და შეგობობის გამოწვევებზე მდებარე კულტურისა და დასვენების პარკის კუთვნილი ატრაქციონის მუშაობაში არსებულ დარღვევებს. ბიურომ არადამაკყოფილებლად შეაფასა ზაფხულის სეზონისათვის სპორტული ნაგებობების მშადენისათვის საბინაო მეურნეობის ტრეტის, საბინაო-საექსპლუატაციო უბნებისა და № 20 საშუალო სკოლის ხელმძღვანელთა მიერ გაწეული მუშაობა, მკაცრად გააფრთხილა იხინი და დაავალა საშუალო საწარმოებთან ერთად მიიღონ ზომები სპორტული მოედნების კეთილმოწყობად და მათი ზაფხულის სეზონისათვის მოსამზადებლად.

იმის გამო, რომ კულტურისა და

დასვენების პარკის დირექტორს ანზ. ზ. ჯაფარიძეს ბიუროს ამავე სხდომაზე სხვა საკითხთან დაკავშირებით საყვედური გამოეცხადა, იგი მკაცრად იქნა გაფრთხილებული.

საქართველოს კომპარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტის ბიურომ გადაწყვიტა ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობისა და სპორტული ნაგებობების მშადენის შემოწმების მიზნით ჩაატაროს საქალაქო დეფალიერება-კონსურსის და დამატაცია ამ დათვალიერება-კონსურსის დებულება.

ქრუსთავის პარტიული ხელმძღვანელობა ყველაფერს იღონებს ვაჭრთ „ლელოს“ კრიტიკულ გამოსვლაში მითითებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებლად.

ა. შ. ბაბრძე, რუსთავის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

ნანა იოსელიანი ნარკატეა

პანანაში დამთავრდა მსოფლიოს ექსპერიმენტის კაპიტალის სსოფნისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირები.

მეორე ჯგუფის ტურნირში I-II ადგილები გაიყვეს პიეტროვი (სსრკ) და ლუკაჩა (უნგრეთი). ორივე მოჭარბავემ საერთაშორისო დიდოსტატის ნორმატივი შეასრულა.

ქალთა საერთაშორისო ტურნირში I პრიზი თბილისელმა დიდოსტატმა ნანა იოსელიანმა მიიღო.

ზურაბ ავაიშვილი პიეტროვი

პანანის საჭადრაკო კლუბში დამთავრდა სსრკ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის სსოფნისადმი მიძღვნილი ტრადიციული VII საკავშირო საჭადრაკო ტურნირი.

ბოლო ტურის წინ მოეწყო შეხვედრები გადადებული პარტიების დაკამათებულად. აზმაიფარაშვილი დაუზავდა ასევე, ავაიშვილი და მოუგო ჰუსინოვი. ჯანჯღავა ყაიშიშვიტაშვილს ავაიშვილი, გიორგიანი და გურგენიძე — ასევეს. გუგუელმა სძლია იაგლიანს.

ბოლო, XIV ტურში გუგუელმა მოუგო გიორგიანი, გურგენიძე — ეფენიძეს, ავაიშვილი — ჰუსინოვს, ჯანჯღავა — გურგენიძეს. ყაიშიშვილი დამთავრდა შეხვედრები: აზმაიფარაშვილი — ბალაბოვი, იაგლიანი — ჰუსინოვი, სტურუა — ანიკაევი, თორია — ასევეს.

ბრძოლა


მეაზრდეა

დიდოსტატთა ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის — „ბუგოინო-86“-ის მონაწილეებმა გასულ ოთხშაბათს II წრის შეხვედრები დაიწყეს.

VIII ტურში კარბოვი შეხვდა სპასკის და 34-ე სვლაზე გაიმარჯვა. ლიუბოვიჩი დაამარცხა მიილი. ყაიშიშვიტაშვილმა ტიმიანი — იუსუპოვი და სოკოლოვი — პორტიშვილი.

IX ტურში ყველა შეხვედრა ყაიშიშვილი დამთავრდა. კარბოვი დაუზავდა იუსუპოვს, სპასკი — ლიუბოვიჩს, მიილი — პორტიშვილს, ტიმიანი — სოკოლოვს.

9 ტურის შემდეგ კარბოვი 5 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს, სოკოლოვს, ლიუბოვიჩს — 4,5-4,5 (1-1), სპასკის — 4,5, მიილის — 4 (1), იუსუპოვს, პორტიშვილს — 4-4, ტიმიანს — 3,5.



ინფორმაცია

სტრატეგია. სუგოსლავის ამ ქალაქში დამთავრდა ქალთაშორისო ტურნირი. ფინალში ერთმანეთს შეხვედნენ სსრკ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრები გუნდები. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 76:75. ფინალურ მატჩამდე საბჭოთა ქალთაშორისო გუნდმა ბულგარეთის (88:74) და უნგრეთის (91:65) გუნდები დაამარცხა.

XIII მსოფლიო ჩემპიონატი ფუნჯურთში

მაქსიკა-86

მეორე რაუნდის პირველი რაუნდი

(დასასრული)

ვი), ალბინოვი, რაცი, ზაგაროვი (ბლოხინი), ბელანოვი.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე საბჭოთა ნაკრების მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ აღნიშნა, რომ გუნდის ყველა წევრმა ითამაშა მონომებით, ენერჯიულად. რაც შეეხება შედეგებს, ისინი გამოწვეული იყო ფუნჯურთული ზედმეტი გადაქანცვით. ფრანგების ხელმძღვანელმა ა. მიშელმა განაცხადა: „ეს შესანიშნავი თამაში იყო“.

შემდეგ კორესპონდენტებთან საუბარში ა. მიშელმა აღნიშნა: „სავსებით კმაყოფილი ვარ მატჩის შედეგით, განსაკუთრებით თუ გავიხსენებთ, რომ საბჭოთა ფუნჯურთულეებმა ასე ძლიერად ითამაშეს უნგრელებთან, ჩვენ კი აშკარად სუსტად ჩავატარეთ მატჩი კანადის

გუნდთან. ფრე სასეებით შეესაბამება მინდორზე მომხდარ მოვლენებს, სრული იმედი მაქვს, რომ გათამაშების შემდეგ ეტაპზე გავალთ“.

3. ლობანოვსკიმ ასეთი შეფასება მისცა მატჩს: „რა თქმა უნდა, შედეგი სასეებით აკმაყოფილებს ორივე გუნდს, თუმცა, როგორც ერთი, ისე მეორე მხარე თავგამოდებით იბრძოდა გამარჯვებისთვის. მატჩის ბოლო წუთებზე ჩვენი გუნდი და ფრანგებიც ყაბული იყვნენ ფრეზე, ამიტომ იყო ტემპიც რომ შენედა და ბურთის ტარებაშიც მოიმატა. რაც შეეხება მომავალ შეხვედრას კანადელებთან, იქაც მაქსიმალური მონომებით გვმართებს ბრძოლა, ვინაიდან კანადელებმა პირველ მატჩში დაამტკიცეს თავიანთი მდიდარი შესაძლებლობანი“.



ფუნჯურთის მოყვარულებს აინტერესებთ, რატომ არ ითამაშეს პირველ ორ მატჩში საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში ალექსანდრე ჩივაძემ და ოლეგ პრეტასოვმა. ვსარგებლობთ „სოვეტსკი სპორტის“ სპეციალური კორესპონდენტის ვიქტორ პონდელნიკის ინფორმაციით. აი, რა გადმოსცა მან მექსიკიდან თავის ვახუთ: „ოლეგ პრეტასოვმა დაიწყო ვარჯიში, მაგრამ ფუნჯურთული მდგომარეობა ჯერ-ჯერობით მინდორზე გამოსვლის საშუალებას არ აძლევს. ჩივაძეს ჩვენი ექიმები განსაკუთრებულ მეთვალყურეობას უწევენ. ორი დღის წინ მან დაიწყო ინდივიდუალური ვარჯიში“.

პირველი ტურის შედეგები

საზარანეთის ნაკრების თავდაცმების პაპენის მიერ კანადის ეროვნული გუნდის კარში გატანილი გოლი საიუბლეო, 1200-ე აღმოჩნდა მსოფლიო ჩემპიონატების ფინალური ტურნირების ისტორიაში. პირველ ტურში სულ ოცდამეორე ფუნჯურთულე გამოიჩინა თავი. ივან იარემჩუკმა და არგენტინელმა ხორხე ვალდანიმ 2-2-ჯერ აიღეს მეტოქეთა კარი, დანარჩენმა ოცმა მოთამაშემ კი თითო გოლი გაიტანა. პირველი ტურის მატჩებს მექსიკის სტადიონებზე სულ 479410 მაყურებელი დაესწრო. როგორც ოფიციალური მონაცემებიდან ჩანს, ეს იყო მსოფლიოში 74 პროცენტი. თითო მატჩი საშუალოდ 40000 მაყურებელმა იხილა. ე. ი. გაცილებით მეტმა, — ვიდრე ოთხი წლის წინ, ესპანეთში გამართულ ჩემპიონატზე, სადაც პირველი ტურის თითო შეხვედრას საშუალოდ 30,5 ათასი მაყურებელი დაესწრო. ნიმიანარე ჩემპიონატზე ყველაზე მეტი მაყურებელი დაესწრო იტალიისა და ბულგარეთის გუნდების თამაშს, „აიტეკას“ ტრიბუნებზე 110000 ფუნჯურთის მოყვარული შეიკრიბა. 95000 გულშემატკვიარი დაესწრო მექსიკისა და ბელგიის ნაკრები გუნდების მატჩს. ყველაზე ცოტა 10000 ფუნჯურთის მოყვარული მივიდა ნეცაუალკოიტლის სტადიონზე, სადაც ერთმანეთს ხედეზოდენ დანიელები და შოტლანდიელები. პარაგვულ და ერაყელ ფუნჯურთულე მატჩს კი 12000 მაყურებელმა უქცირა. პირველ თორმეტ შეხვედრაში

მსაჯებმა 23 ფუნჯურთულე უჩვენეს ყველაზე ბარათი. მართალია, მინდორიდან არც ერთი ფუნჯურთული არ გაუძევებიათ, მაგრამ ეს მაჩვენებელი მაინც სჭარბობს წინა მსოფლიო ჩემპიონატის დროს ნაჩვენებს. მსაჯებს; არც მაშინ გაუძევებიათ მოთამაშე, მაგრამ ყველა ბარათის ჩვენება სულ 15-ჯერ დასჭირდა. პირველ თორმეტ მატჩში XIII მსოფლიო ჩემპიონატის ნონაწილე გუნდებიდან მსაჯებს მხოლოდ 8 არ დაუსჯიათ. ეს გუნდებია: არგენტინა, საფრანგეთი, კანადა, საბჭოთა კავშირი, უნგრეთი, შოტლანდია, პოლონეთი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

ბოლოს 11-მეტრიანების შესახებ. პირველ თორმეტ მატჩში სულ 2 პენალტი დაინიშნა და ორივე ერთ მატჩში. როგორც იცით, საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის ნაკრები გუნდებს შეხვედრისას მსაჯე უნგრელთა კარში ორჯერ დაინიშნა 11-მეტრიანი. ბელანოვმა გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა კანოიყენა, ევტუშენკომ კი კარს ააცილა ბურთი.

ბათამაშვილის ცხრილი

I ჯგუფი	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
არგენტინა	2	1	1	0	4-2	3
ბულგარეთი	2	0	2	0	2-2	2
იტალია	2	0	2	0	2-2	2
სამხრეთი კორეა	2	0	1	1	2-4	1

II ჯგუფი	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
მექსიკა	1	1	0	0	2-1	2
პარაგვაი	1	1	0	0	1-0	2
ბელგია	1	0	0	1	1-2	0
ერაყი	1	0	0	1	0-1	0

III ჯგუფი	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
სსრკ კავშირი	2	1	1	0	6-1	3
საფრანგეთი	2	1	1	0	2-1	3
კანადა	1	0	0	1	0-1	0
უნგრეთი	1	0	0	1	0-6	0

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არაა უნგრეთისა და კანადის გუნდების გუშინდელი მატჩის შედეგი.

IV ჯგუფი	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
ბრაზილია	1	1	0	0	1-0	2
ალბერტი	1	0	1	0	1-1	1
ჩრ. ირლან.	1	0	1	0	1-1	1
ესპანეთი	1	0	0	1	0-1	0

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არაა ბრაზილიისა და ალბერტის გუნდების გუშინდელი შეხვედრის შედეგი.

V ჯგუფი	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
დაჩია	1	1	0	0	1-0	2
ურუგვაი	1	0	1	0	1-1	1
გურ	1	0	1	0	1-1	1
შოტლანდია	1	0	0	1	0-1	0

შენიშვნა: ცხრილში შეტანილი არაა ინგლისისა და მაროკოს გუნდების გუშინდელი შეხვედრის შედეგი.

VI ჯგუფი	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
პორტუგალია	1	1	0	0	1-0	2
პოლონეთი	1	0	1	0	0-0	1
მაროკო	1	0	1	0	0-0	1
ინგლისი	1	0	0	1	0-1	0

სტატისტიკა, სტატისტიკა

მატჩი № 7. მექსიკა — ბელგია 2:1 (2:1). II ჯგუფი. მეხიკო. 3 ივნისი. გოლები: კირარტე, სანჩესი (მექსიკა), ვანდენბერგი (ბელგია). მსაჯი კ. ესპოზიტო (არგენტინა). 90.000 მაყურებელი. გააფრთხილეს მექსიკელი ფუნჯურთულეები სანჩესი, მუნიოსი, ფრეთევე, ბელგელი ვანდენბერგი.

მატჩი № 8. ალბერტი — ჩრდილოეთ ირლანდია 1:1 (1:0). IV ჯგუფი. გვადალასარა. 3 ივნისი. გოლები უაითსაიდი. (ჩრ. ირლანდია), ზიდანო (ალბერტი). მსაჯი ვ. ბუტენკო (სსრკ კავშირი). 22.000 მაყურებელი. გააფრთხილეს ალბერტი მანა.

მატჩი № 9. პორტუგალია — ინგლისი 1:0 (0:0). VI ჯგუფი. მონტრევი. 3 ივნისი. გოლი: მანუელი (პორტუგალია). მსაჯი ფ. როტი (გურ). 13.000 მაყურებელი. გააფრთხილეს პორტუგალიელი პაშეკუ და ინგლისელები ფენიკი და ბატჩერი.

მატჩი № 10. პარაგვაი — ერაყი 1:0 (0:0). II ჯგუფი. ტოლუკა. 4 ივნისი. გოლი: რომერო (პარაგვაი). მსაჯი ე. პიკონ-აკონგი (მავრიტანია). 12.000 მაყურებელი. გააფრთხილეს პარაგვაელი მანა.

ნსური და ჩრდილოეთირლანდიელები უორტინგტონი, მაკილორი და უაითსაიდი.

მატჩი № 9. პორტუგალია — ინგლისი 1:0 (0:0). VI ჯგუფი. მონტრევი. 3 ივნისი. გოლი: მანუელი (პორტუგალია). მსაჯი ფ. როტი (გურ). 13.000 მაყურებელი. გააფრთხილეს პორტუგალიელი პაშეკუ და ინგლისელები ფენიკი და ბატჩერი.

მატჩი № 10. პარაგვაი — ერაყი 1:0 (0:0). II ჯგუფი. ტოლუკა. 4 ივნისი. გოლი: რომერო (პარაგვაი). მსაჯი ე. პიკონ-აკონგი (მავრიტანია). 12.000 მაყურებელი. გააფრთხილეს პარაგვაელი მანა.

ტელეკრანეები...

გთავაზობთ მსოფლიოს საფუნჯურთო ჩემპიონატის მატჩების ტრანსლაციის მომავალი კვირის განრიგს ცენტრალური ტელევიზიის პირველი და მეორე პროგრამებით (დრო ყველგან თბილისისა).

9 ივნისი, ორშაბათი
I პროგრამა
10 ხ. 30წ — შოტლანდია.
II ტიპი (8 ივნისის მატჩის გამეორება).
10 ხ. 45 წ. ურუგვაი — დანია II ტიპი.
19 ხ. ურუგვაი — დანია.
28 ხ. პანანა — სსრკ კავშირი.

10 ივნისი, სამშაბათი
I პროგრამა
10 ხ. პანანა — სსრკ კავშირი (9 ივნისის მატჩის გამეორება).
11 ხ. 35 წ. საზარანეთი — უზბეკეთი. II ტიპი.

19 ხ. საზარანეთი — უზბეკეთი.
28 ხ. ბულგარეთი — არგენტინა.
11 ივნისი, ოთხშაბათი
I პროგრამა
10 ხ. 40 წ. ბულგარეთი — არგენტინა. II ტიპი. (10 ივნისის მატჩის გამეორება).
19 საათიდან იწარმოებს პ. ჩაიკოვსკის საერთაშორისო კონკურსის ტრანსლაცია, შეხვედრების გადამცემენ „მსოფლიო ჩემპიონატის დღეობა“.
12 ივნისი, ხუთშაბათი
I პროგრამა
10 ხ. 40 წ. პოლონეთი — ინგლისი. II ტიპი.
18 ხ. 55 წ. პოლონეთი — ინგლისი.
23 ხ. ბრაზილია — ჩრ. ირლანდია.

თბილეს პარაგვაელი შეტინა და ერაყელი აბილენი.

მატჩი № 11. გურ — ურუგვაი 1:1 (0:1). V ჯგუფი. კერეტარო. 4 ივნისი. გოლები: ალსანენი (ურუგვაი), ალოფსი (გურ). მსაჯი ვ. ხრისტოვი (ჩეხოსლოვაკია). 20.000 მაყურებელი. გააფრთხილეს ურუგვაელი ფუნჯურთულეები დიეგო და სარალევი.

მატჩი № 12. შოტლანდია — დანია 0:1 (0:0). V ჯგუფი. ნეცაუალკოიტლი. 4 ივნისი. გოლი: ელკი-აერი (დანია). მსაჯი ლ. ნემეტი (უნგრეთი). 22.000 მაყურებელი. გააფრთხილეს დანიელი ბირგრენი.

ოთხშაბათს, მოსკოვში, რეგისტრატორთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე გუნდებმა მორიგი ტურის მატჩები გამართეს. თბილისისა და მოსკოვის რკინიგზელების შეხვედრა დამთავრდა ფრედ 13:13, ჩუთაისის „მშენებელი“ დამარცხდა კიევის „ავიატორთან“ — 6:11. ზედმედ ხუთი-გამარჯვების შემდეგ მოსკოვის „ფილიმ“ წააგო „სლავას“ (მოსკოვი) — 0:11. სხვა მატჩები ასე დამთავრდა: სსა (მონინო) — ეტს (კრასნოიარსკი) 19:10. „პრიმორეცი“ (ლენინგრადი) — „ელექტრომში“ (ტირასპოლი) 10:7. ასე (ალმა-ათა) — „სოკოლი“ (ლვოვი) 22:15.

სსა-მ, „სლავამ“, მოსკოვის „ლოკომოტივმა“, ასე-მ და „ფილიმ“ უკვე გაიხადეს ფინალის საგზურები.

ბათამაშვილის ცხრილი

მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.	
სსა	8	1	0	167-76	28
„სლავა“	7	1	1	166-80	24
„ლოკ.“ (მ.)	7	1	1	148-87	24
ასე	6	0	8	129-184	21
„ფილი“	5	1	3	148-109	20
„ავიატორი“	4	1	4	156-98	18
ეტს	4	1	4	120-105	18
„პრიმორ.“	3	1	5	80-146	16
„ლოკ.“ (თბ.)	2	2	5	98-128	15
„მშენებელი“	2	1	6	81-118	14
„სოკოლი“	1	0	8	82-210	11
„ელექტრ.“	0	0	9	64-188	8

ბოლოსწინა ტურში „ლოკომოტივი“ შეხვედრა ასე-ს, „მშენებელი“ — „ფილის“, „პრიმორეცი“ — სსა-ს.

პარანა და ეთარში

ცენტრალური ბალევიზია. 7 ივნისი. დილის ტანვარჯიში — 9.00 (მ); რიტმული ტანვარჯიში — 9.30; მსოფლიო ჩემპიონატი ფუნჯურთში: კანადა — უნგრეთი (მეორე ტიპი) — 10.10 (1); ბრაზილია — ალბერტი — 12.30 (2); ესპანეთი — ჩრდილოეთ ირლანდია — 23.00 (1); სტალინი ყველაზე — 17.15; მსოფლიო საერთაშორისო შეჯიბრება მებრძანამენსკეების პრიზზე — 21.15 (2).

საბავშვო რადიო. 7 ივნისი. ფუნჯურთულია მსოფლიო ჩემპიონატისადმი მიძღვნილი საინფორმაციო გადაცემები — 8.42 („მიაიკი“), 10.00 („მიაიკი“), 16.30 („მიაიკი“), 24.00 („მიაიკი“), 9.00 (I პროგრამა), 23.00 (I პროგრამა).

სამართალის ბალევიზია. 7 ივნისი. მსოფლიო ჩემპიონატი ფუნჯურთში: კანადა — უნგრეთი — 10.10; ბრაზილია — ალბერტი — 12.30; ესპანეთი — ჩრდილოეთ ირლანდია — 23.00.

სამართალის რადიო. 7 ივნისი. სსრკ კავშირის ჩემპიონატი ფუნჯურთში: „დინამო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (ქუთაისი) — 9.00.

რედაქტორის მოადგილე

თ. ბაჩიალიაძე

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი

7 ივნისი ფუნჯურთი

სსრკ კავშირის კირველოვა

II ლიგა, IX ზონა

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სპარტანი“ (ოქტემბერია)

გათამაშდება ლატარია ორი ავტომატში „სოველი“-21063-ს ურთოდ შესაძენად. ბილეთის ფასი — 1 მანეთი, ხოლო „ლოკომოტივის“ სტადიონის აბონემენტების მფლობელთათვის — 50 კპა. ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალონებში 6 და 7 ივნისს 11 საათიდან. თამაშის დასაწყისი 19 საათზე.